



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N012/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სალომე აბულაძე (სტუდენტი)

1. შეკითხვა

2013 წლის 7 მარტს ადვოკატმა მიმართა ეთიკის კომისიას შემდეგი შეკითხვით: ხომ არ ექნება ადგილი „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ს 8¹ ან სხვა რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ეთიკური ნორმის დარღვევას, თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებული ეკრანიდან საინფორმაციო ან სარეკლამო რგოლებში მონაწილეობს საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად, სხვა ადვოკატთაგან პროფესიული უპირატესობის ხაზგასასმელად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთი კონკრეტული წევრი ადვოკატი?

2. ანალიზი

ადვოკატმა თავისი საქმიანობის რეკლამირების დროს უნდა დაიცვას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8¹ მუხლით დადგენილი პირობები. კერძოდ, რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას, უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, ადვოკატის საქმიანობის რეკლამირება უნდა განხორციელდეს პროფესიის ძირითადი ფასეულობების შესაბამისად; რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.²

ადვოკატი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. ადვოკატის საქმიანობის რეკლამირებაც სწორედ პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების დაცვას გულისხმობს. იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად არის დაცული ადვოკატთა საქმიანობის რეკლამირების წესები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესაბამისად, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, შეკითხვაში აღნიშნული სარეკლამო რგოლში მონაწილეობა რამდენად წარმოადგენს რეკლამის სახეს.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ეკრანზე გავა ე.წ სასამართლოს რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სასამართლოში სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისათვის გაცნობას და ამ რეკლამაში გამოჩნდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი წევრი, როგორც რომელიმე სასამართლო პროცესის მონაწილე ან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედების განმახორციელებელი, ეს არ ჩაითვლება მის რეკლამად და, შესაბამისად, ამ შემთხვევაში, არ ჩაითვლება დარღვეულად ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8¹ მუხლი.

თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებულ ეკრანზე მოხდება კონკრეტული საადვოკატო ბიუროს ან ადვოკატის რეკლამირება და ეს რეკლამა გამიზნულია სხვა ადვოკატთაგან პროფესიული უპირატესობის ხაზგასასმელად, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა

¹ იხ. ეთიკის კომისიის 2013 წლის 07 აგვისტოს რეკომენდაცია:

<https://gba.ge/pdf/5c7fc1312f1b6.pdf/07%20August%202013%20%20012.13.pdf>

² იხ. მსგავსი განმარტება, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საბჭოს (CCBE) მიერ ევროპელი ადვოკატებისთვის მიღებული ქცევის კოდექსის 2.6.1 მუხლი.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8¹ მუხლი, რომლის მიხედვითაც საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებდეს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე. თუმცა, აღნიშნულ ეკრანებზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო სამსახურის განმარტებით, დაუშვებელია რაიმე სახის პროდუქციის ან საქმიანობის რეკლამირება. შესაბამისად, მოცემული შემთხვევა პრაქტიკაში არ განხორციელდება.

3. დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს შენობის ფოიეს იმ ნაწილში, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა მოძრაობს (სასამართლოს კანცელარიის სიახლოვეს) განთავსებულ ეკრანზე გავა ე.წ. სასამართლოს რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოში დანერგილი სიახლის ან სასამართლოში სამართალწარმოების წესების მოქალაქეებისათვის გაცნობას, ამ რეკლამაში ადვოკატის მონაწილეობა არ ჩაითვლება მის რეკლამად. თუ აღნიშნულ ეკრანებზე მოხდება კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მომსახურების რეკლამირება და რეკლამა პირდაპირ ან ირიბად მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8¹ მუხლი. თუმცა, მსგავსი შემთხვევა პრაქტიკაში არ განხორციელდება, ვინაიდან სასამართლოში დაუშვებელია რაიმე სახის საქონლის ან მომსახურების რეკლამირება.